

კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმით წარმოდგენილი საკონსულტაციო დასკვნის  
პროცედურის განხორციელების სახელმძღვანელო

(დამტკიცებულია სასამართლოს პლენუმის მიერ 2017 წლის 18 სექტემბერს)

დოკუმენტი განახლებულია 18/10/2021

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2022



რედაქტორი

**მარინა კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

თარგმნეს და დაამუშავეს

**გულიკო მჭედლიშვილმა**

ადამიანის უფლებათა ცენტრის  
მთავარი კონსულტანტი

**ნატა ვარაზაშვილმა**

ადამიანის უფლებათა ცენტრის  
კონსულტანტი

## კონვენციის მე-16 დამატებით ოქმით შემოღებული საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის განხორციელების სახელმძღვანელო მითითებები

### I.

#### შესავალი

1. წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს პრაქტიკული დახმარების შეთავაზებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 დამატებით ოქმით („კონვენცია“) გათვალისწინებული პროცედურის დაწყებასა და შემდგომი განხორციელების შესახებ იმ სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის, რომლებსაც კომპეტენცია აქვთ მოითხოვონ საკონსულტაციო დასკვნა. სახელმძღვანელოები განიხილება დიალოგისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით ეროვნულ ხელისუფლებასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის („სასამართლო“), რომელიც ეფუძნება დამატებით ოქმს. სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც არ არის სავალდებულო, უნდა იქნეს წაკითხული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის დებულებებისა და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისი წესების გათვალისწინებით (იხ. დანართი 1).

### II.

#### სასამართლოს იურისდიქცია საკონსულტაციო დასკვნების მოთხოვნასთან დაკავშირებით

2. კონვენციის მე-16 დამატებით ოქმის დამატებითი 1-ელი მუხლი სასამართლოს ანიჭებს იურისდიქციას, გასცეს საკონსულტაციო დასკვნა პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან კონვენციაში ან მის ოქმებში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას. საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის მიზანია გააძლიეროს ურთიერთკავშირი სასამართლოსა და კონვენციის ხელმძღვანელი მხარეების ეროვნულ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შორის. სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებს და ტრიბუნალებს შორის კონსტრუქციული დიალოგის ხელშეწყობა ემსახურება კონვენციის იმპლემენტაციის შემდგომ გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე, სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად.

3. თავიდანვე მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო დასკვნის პროცედურა ხელმისაწვდომი არ არის დამატებით ოქმის მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ყველა სასამართლოსთვის და ტრიბუნალისთვის. სასამართლოს

იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციის მიერ წარდგენილ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნაზე, რომელიც უმაღლესი ხელშემკვრელი მხარის მიერ, მე-16 დამატებით ოქმის მიზნებისთვის დანიშნულია უმაღლეს სასამართლოდ ან ტრიბუნალად („დანიშნული სასამართლო ან ტრიბუნალი“). აღნიშნული დამატებითი ოქმის მე-10 მუხლის მიხედვით:

„კონვენციის თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარდგენილი განცხადებით, მიუთითებს, რომელ სასამართლოებს ან ტრიბუნალებს დაასახელებს იგი ამ დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის. აღნიშნული განცხადება შეიძლება მოგვიანებით ნებისმიერ დროს შეიცვალოს იმავე წესით.“

4. აღნიშნული საბაზით, ეროვნულ სასამართლოებს ან ტრიბუნალებს ურჩევნად დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ კომპეტენცია წარადგინონ მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ. ამ მიზნით, რეკომენდირებულია, რომ მათ მიმართონ დანიშნული სასამართლოების ან ტრიბუნალების თანდართულ სიას, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შესახებ. სასამართლოს არ აქვს იურისდიქცია განიხილოს მოთხოვნა რომელიც წარდგენილია იმ ინსტანციის მიერ, რომელიც არ არის დანიშნული როგორც უმაღლესი სასამართლო ან ტრიბუნალი.

5. დანიშნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს ევალება, გამოიყენოს კონვენცია და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მის წინაშე არსებულ დავაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით. შესაძლოა, სასამართლომ ან ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ მის წინაშე არსებული საქმე, მისი აზრით, ბადებს კონვენციური სამართლის ახალ აზრს ან რომ საქმის ფაქტები, როგორც ჩანს, არ ექვემდებარება სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პირდაპირ გამოყენებას ან როგორც ჩანს, არსებობს შეუსაბამობა სასამართლო პრაქტიკაში. ასეთ ვითარებაში, შესაბამის სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია ისარგებლოს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობით.

6. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო დასკვნის წარმოებისას სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს კონვენციური სამართლის აბსტრაქტული საკითხები. ამასთან დაკავშირებით ორი პუნქტი უნდა იყოს ხაზგასმული.

6.1 უპირველეს ყოვლისა, საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა უნდა წარმოიშვას ეროვნული წარმოების პროცესში, რომელსაც ამჟამად განიხილავს უმაღლესი სასამართლო ან ტრიბუნალი. სასამართლოს არ აქვს იურისდიქცია განიხილოს მოთხოვნა, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულს.

6.2 მეორე, მოთხოვნილი დასკვნა უნდა ეხებოდეს საკითხს ან პრინციპულ საკითხებს, რომლებიც ეხება კონვენციაში ან მის ოქმებში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას და რომელსაც შესაბამისი სასამართლო ან ტრიბუნალი მიიჩნევს აუცილებლად მის განსახილველად. ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები იძლევა დამატებით მითითებებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, სასამართლოს არ აქვს იურისდიქცია რომ საჭიროების შემთხვევაში, შეაფასოს საქმის ფაქტები ან შეაფასოს მხარეთა შეხედულებების არსებითი მხარე ეროვნული სამართლის ინტერპრეტაციის შესახებ კონვენციური სამართლის ფონზე, ან გამოიტანოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შედეგზე. სასამართლოს როლი შემოიფარგლება მის წინაშე წარდგენილ მოთხოვნაზე დასკვნის წარმოდგენით. საბოლოო ჯამში, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს ეკისრება საქმეში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა და საჭიროების შემთხვევაში, დასკვნების გამოტანა, რომლებიც გამომდინარეობს სასამართლოს მიერ გამოტანილი მოსაზრებიდან საქმეში გამოყენებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებებისთვის და საქმის შედეგისთვის.

7. დანიშნული სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შესახებ საკონსულტაციო დასკვნას გამოიტანს სასამართლოს დიდი პალატა, როგორც ეს დადგენილია სასამართლოს რეგლამენტის 24 § 2 (ზ) წესის მიხედვით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დანიშნულმა სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა გაითვალისწინონ, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას ჯერ განიხილავს დიდი პალატის ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია, რომელიც გადაწყვეტს მიიღება თუ არა მოთხოვნა დიდი პალატის მიერ განსახილველად (მე-16 დამატებით ოქმის მე-2 მუხლი და სასამართლოს რეგლამენტის X თავის 93-ე წესი). კოლეგია ძირითადად ფოკუსირებული იქნება იმაზე, ეხება თუ არა სასამართლოსადმი წარდგენილი მოთხოვნა საკითხს ან პრინციპულ საკითხებს, რომლებიც ეხება კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს და აკმაყოფილებს თუ არა იგი პროცედურულ მოთხოვნებს რომლებიც დადგენილია მე-16 დამატებითი ოქმის 1 § 3 მუხლით და ასახულია სასამართლოს რეგლამენტის X თავის 92 § 2.1 წესში მის ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით. მე-16 დამატებით ოქმში გამოკვეთილი თანამშრომლობის სულისკვეთებით, სასურველია, დანიშნულმა სასამართლოებმა ან

ტრიბუნალებმა გაითვალისწინონ წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები, რათა თავიდან აიცილონ ოქმით გათვალისწინებული ძირითადი არსებითი და პროცედურული ფორმალობების შეუსრულებლობის მოთხოვნის *de plano* უარყოფა.

### **III. გადაწყვეტილება საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შესახებ**

8. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ მე-3 პარაგრაფში, საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის კომპეტენცია ეკუთვნის დანიშნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს. ასეთი შემთხვევების სია თანდართულია. როგორც მე-4 პარაგრაფში აღინიშნა, სასამართლოები ან ტრიბუნალები უნდა გაეცნონ ამ სიას, სანამ გადაწყვეტენ აქვთ თუ არა კომპეტენცია მოითხოვონ საკონსულტაციო დასკვნა მე-16 დამატებით ოქმის შესაბამისად.

9. საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება არჩევითია (ოქმის 1 § 1 მუხლი და სასამართლოს რეგლამენტის X თავის 92 § 1 წესი). მე-16 დამატებით ოქმის მიზნის გათვალისწინებით (იხ. პარ. 2 ზემოთ), დანიშნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია ისარგებლოს საკონსულტაციო დასკვნის პროცედურებით, როდესაც ჩათვლის, რომ მის წინაშე არსებული საქმე ბადებს საკითს ან პრინციპულ კითხვებს განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით და მისი აზრით, აუცილებელია მოთხოვოს საკონსულტაციო დასკვნა მის წინაშე არსებული დავის გადასაწყვეტად.

### **IV.**

#### **შესაბამისი ეტაპი, რომლის დროსაც უნდა მოხდეს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა**

10. დანიშნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც კი აღმოაჩენს, რომ მის წინაშე არსებული ეროვნული სამართალწარმოება წარმოშობს კითხვას ან პრინციპულ საკითხებს, რომლებიც ეხება კონვენციით ან მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნა უნდა იქნეს მოთხოვნილი მე-16 დამატებითი ოქმის 1 § 2 მუხლი). სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებით, რომლებიც ქმნიან საბოლოო მოთხოვნას (იხ. პარ. 11-17 ზემოთ), რეკომენდირებულია სასამართლოში მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ (რამდენადაც რელევანტურია) ფაქტებისა და სამართლებრივი საკითხების, მათ შორის, კონვენციური სამართლის საკითხების იდენტიფიცირების შემდეგ. ეროვნული

კანონმდებლობის პოზიციიდან გამომდინარე შესაძლოა ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ გამოავლინოს ინიციატივა ამ საკითხზე, ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძვლებში. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, მოითხოვოს თუ არა საკონსულტაციო დასკვნა, ეკისრება სააპელაციო სასამართლოს ან ტრიბუნალს, რამდენადაც იგი დანიშნულია როგორც უმაღლესი სასამართლო ან ტრიბუნალი, მე-16 დამატებით ოქმის მიზნებისთვის.

## V.

### საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის ფორმა და შინაარსი

11. მე-16 დამატებით ოქმის ზემოაღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, საკონსულტაციო დასკვნის პროცედურა მოითხოვს, რომ სასამართლომ მკაფიო და განმარტებითი მითითებები მიაწოდოს მომთხოვს სასამართლოს ან ტრიბუნალს. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამის გაკეთება, ჩამოყალიბებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც აიძულა დაინსტერესებული ინსტანცია წარედგინა მოთხოვნა და ასევე, მოთხოვნა უნდა იყოს სრული და ზუსტი.

12. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შინაარსი გათვალისწინებულია მე-16 დამატებითი ოქმის 1 § 3 მუხლში და სასამართლოს რეგლამენტის X თავის 92 § 2.1 წესით. ასეთი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ კითხვას ან კითხვებს, რომლებზეც შესაბამისი სასამართლო ან ტრიბუნალი მიმართავს სასამართლოს არამედ შემდეგ დამატებით ელემენტებს:

ა) ეროვნულ წარმოებაში არსებული საქმის საგანი და მისი შესაბამისი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი;

ბ) შესაბამისი შიდასაკანონმდებლო დებულებები;

გ) კონვენციის შესაბამისი საკითხები, კერძოდ, საფრთხის წინაშე მყოფი უფლებები და თავისუფლებები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამართალწარმოების მხარეთა არგუმენტების შეჯამება საკითხთან დაკავშირებით;

ე) თუ ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის საკუთარი შეხედულებების ფორმულირება, მათ შორის, ნებისმიერი ანალიზი, რომელიც მან თავად გააკეთა ამ საკითხთან დაკავშირებით.

13. როგორც შეინიშნება, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს აქვს გარკვეული დისკრეცია იმის დადგენაში არის თუ არა „რელევანტური“ მხარეთა არგუმენტების შეჯამება იმ საკითხზე თუ რომელია მოთხოვნის საგანი, და არის თუ არა „მიზანშეწონილი“ ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება. ეს ის საკითხებია, რომლებიც შესაბამისმა ინსტანციამ უნდა განიხილოს. მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა, თავისი გადაწყვეტილების განხორციელებისას, სასამართლოს მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რატა ამ უკანასკნელმა შეძლოს უზრუნველყოს მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ ეროვნულ სამართალწარმოებაში კონვენციური სამართლის გამოყენების შესახებ მოთხოვნილი განმარტებითი სახელმძღვანელოს წარმოდგენა.

14. სასამართლოს სამდივნოს შეუძლია, თავმჯდომარის მოთხოვნით, დაუკავშირდეს მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს, რათა მოიძიოს დამატებითი დეტალები მოთხოვნისა და თანმხლები დოკუმენტაციის შესახებ.

15. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნებს სასამართლო განიხილავს როგორც პრიორიტეტულ საკითხებს( იხ. სასამართლოს რეგლამენტის X თავის 93 § 2 წესი). როდესაც მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი თვლის, რომ მოთხოვნა საჭიროებს გადაუდებელკ განხილვას, მან უნდა აცნობოს სასამართლოს და მიუთითოს დაასაბუთოს დაჩქარებული პროცედურის საჭიროება. პრიორიტეტულობის საკითხი განხილულია ქვემოთ 29-30 პუნქტებში. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო დაუყონებლივ იყოს ინფორმირებული საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის გადაუდებელი ხასიატის შესახებ. ამ მიზეზით, მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლოებმა ან ტრიბუნალებმა ნათლად უნდა აღნიშნონ წერილში, რომელიც თან ახლავს მათ მოთხოვნას, რომ ეს საკითხი განსახილველია სასწრაფოდ. შემდგომში რეკომენდირებულია სიტყვების „**გადაუდებელი: დამატებითი ოქმი N16**“ ჩასმა მოთხოვნის ყოველი გვერდის ზედა ნაწილში.

16. რაც შეეხება საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის წარდგენას, მომთხოვნ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი სახელმძღვანელო მითითებები:



- ა) მოთხოვნა უნდა იყოს A4 ფორმატში, ნაბეჭდი და ფურცლის კიდე („მინდორი“) არანაკლებ 3,5 სმ;
- ბ) ტექსტი უნდა იყოს არანაკლებ 12 ფონტი დოკუმენტის ტექსტი და 10 სქოლიოში, 1.5 სტრიქონის ინტერვალით;
- გ) ყველა რიცხვი უნდა იყოს გამოხატული ციფრების სახით;
- დ) გვერდები უნდა იყოს დანომრილი თანმიმდევრულად;
- ე) მოთხოვნა უნდა დაიყოს დანომრილ პუნქტებად;
- ვ) ის უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს რეგლამენტის X თავის 92 § 2.1 წესის მოთხოვნების შესაბამისად.

17. წარდგენილი მოთხოვნა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს ოც გვერდს.

## VI.

### საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის ენა

18. საბოლოო მოთხოვნა, როგორც ზემოთ არის განსაზღვრული, შეიძლება სასამართლოს წარედგინოს ეროვნული სამართალწარმოების ენაზე რომელიც არის მაღალი ხელშემკვრელი მხარის ოფიციალური ენა, რომელსაც ეკუთვნის მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი. თუმცა, მოთხოვნის ინგლისური ან ფრანგული თარგმანი უნდა წარედგინოს სასამართლოს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში (სასამართლოს რეგლამენტის 34 § 7 მუხლი)

## VII.

### ანონიმურობა

19. საკონსულტაციო დასკვნის შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის ან ამ პროცესის მხარის მოთხოვნით, ანონიმურობა მიანიჭოს ეროვნული სამართალწარმოებით დაინტერესებულ პირებს ან ორგანიზაციებს.

20. მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოთხოვნაში შემაჯავლი ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია იყოს ანონიმურობის შესახებ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისი

(მაგალითად პერსონალური მონაცემების წაშლა ან პირებისა და ორგანიზაციების ანონიმურობის შენარჩუნებით, რომლებიც კავშირში არიან ეროვნულ სამართალწარმოებაში არსებულ დავაში).

## VIII.

### **საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შედეგები ეროვნულ სამართალწარმოებაზე**

21. მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის გადასაწყვეტია, შეჩერდება თუ არა ეროვნული სამართალწარმოება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიწოდებამდე.

22. სასამართლოს წინაშე საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის სათანადოდ წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი ეფექტიანობის შესანარჩუნებლად, მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი საპროცესო ნაბიჯის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოთხოვნაზე და განსაკუთრებით, თუ რომელიმე ახალი მხარე დაშვებულია ეროვნულ სამართალწარმოებაში.

## IX.

### **ხარჯები და დანახარჯები და იურიდიული დახმარება**

23. სასამართლოს წინაშე საკონსულტაციო დასკვნის საქმისწარმოება უფასოა. სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე მიმდინარე პროცესის მხარეთა ხარჯებსა და დანახარჯებზე, რაც გადასაწყვეტია იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, რომელთანაც კავშირშია მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი ( სასამართლოს რეგლამენტის X თავის 95 - ე წესი).

24. სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მოიწვიოს ეროვნული სამართალწარმოების მხარე საკონსულტაციო დასკვნის წარმოების პროცესში. თუ ამ მხარეს არასაკმარისი საშუალებები აქვს და სადაც ეს შესაძლებელია, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია გაუწიოს მხარეს იურიდიული დახმარება, მათ შორის, ადვოკატთა ჰონორარები რომლებიც წარადგენენ მათ ევროპული სასამართლოს წინაშე. თავად სასამართლოს ასევე შეუძლია გასცეს იურიდიული დახმარება, თუ მხარე უკვე არ იღებს დახმარებას ეროვნული წესების შესაბამისად ან რამდენადაც ეს დახმარება არ

ფარავს ან ფარავს მხოლოდ ნაწილობრივ სასამართლოს წინაშე გაწეულ ხარჯებს (სასამართლოს რეგლამენტის X თავის 95 წესი).

## X.

### სასამართლოსა და მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს შორის კომუნიკაცია

25. საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა და შესაბამისი დოკუმენტები მომთხოვნი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ უნდა გაეგზავნოს სასამართლოს გამწესებელს რეგისტრირებული ფოსტით (გამწესებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭო, F-67075 Strasbourg CEDEX). გამწესებელი დაადასტურებს მოთხოვნის მიღებას და მიაწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას მისი დამუშავების შესახებ. სასამართლოს ან ტრიბუნალს ამ ეტაპზე შეიძლება მოეთხოვოს თავის წარდგენილ მოთხოვნაში ხარვეზის გამოსწორება.

26. საკონსულტაციო დასკვნის შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, დანიშნულმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა სამართალწარმოების მიზნებისთვის სასამართლოს უნდა ამცნოს საკონტაქტო პირის ვინაობა.

27. სასამართლო ინფორმაციას მიაწვდის მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს პროცესის ყველა შესაბამისი პროცედურული საფეხურის შესახებ, მათ შორის:

ა) მოთხოვნის თარგმანის წარდგენის და მოთხოვნის მხარდასაჭერად შემდგომი მასალების წარმოების ვადები;

ბ) წარდგენილ მოთხოვნაზე ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის გადაწყვეტილება;

გ) საქმისწარმოება დიდი პალატის წინაშე, სადაც საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა მიიღება ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის მიერ, მათ შორის შეტყობინებები იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი ნებისმიერი არგუმენტის შესახებ, რომელსაც ეკუთვნის სასამართლო ან ტრიბუნალი, ან სამართალწარმოების ნებისმიერი მესამე მხარე;

დ) ნებისმიერი გადაწყვეტილება ეროვნულ სამართალწარმოებაში მხარეების ან სხვა მესამე მხარის მოწვევის შესახებ დიდი პალატის საქმისწარმოებაში ჩართვისთვის;

ე) დიდი პალატის მიერ მოთხოვნაზე მიღებული საკონსულტაციო დასკვნის შეტყობინება;

28. მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს ეკისრება ეროვნული სამართალწარმოების მხარეების ინფორმირების ვალდებულება პროცესის მიმდინარეობის შესახებ. თუ სასამართლოს თავმჯდომარემ მოიწვია ეროვნული სამართალწარმოების ერთი ან ორივე მხარე საკონსულტაციო საქმისწარმოებაში ჩარევისთვის, სასამართლო ახორციელებს ამ ფუნქციას, მათ შორის, აცნობებს მოთხოვნაზე დიდი პალატის მიერ მიღებული საკონსულტაციო დასკვნის შესახებ (სასამართლოს რეგლამენტი X თავი 94 § 10 მუხლი).

29. შეფასებისას, ისარგებლოს თუ არა სასამართლოს რეგლამენტის 94-ე მუხლის მე-6 პუნქტით მინიჭებული შესაძლებლობით, რომ კომენტარი გააკეთოს პროცესში ჩაბმული პირების მიერ 44-ე წესის შესაბამისად წარდგენილ წარდგინებაზე, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს ეძლევა დისკრეციის უფლებამოსილება, როგორც ეს აღწერილია ზემოთ, მე-13 პუნქტში. მოთხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის გადაწყვეტილება, ისარგებლოს აღნიშნული შესაძლებლობით, გავლენას არ მოახდენს სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების მიმდინარეობაზე, რომელიც 94 § 5 მუხლის მიზნებისთვის წერილობის წარმოებას მიიჩნევს დახურულად.

## XI.

### პრიორიტეტი

30. საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა პრიორიტეტულად განიხილება სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლის შესაბამისად. მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს არსებობს თუ არა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც მოითხოვს მოთხოვნის სასწრაფო განხილვას და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას. სასურველია, რომ მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლოს გამართოს კონსულტაციები მის წინაშე არსებული საქმისწარმოების მხარეებთან და დაურთოს მათი მოსაზრებები მოთხოვნის დასაბუთებას. სასამართლოს გადასაწყვეტია არის თუ არა მომთხოვნი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ მოყვანილი მიზეზები ისეთი, რომლებიც ამართლებს მოთხოვნის დაჩქარებულ განხილვას. სასამართლო გაითვალისწინებს საკუთარ კრიტერიუმებს, რომლებიც არეგულირებს კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი

საჩივრების განხილვის თანმიმდევრობას.<sup>1</sup> რეკომენდირებულია, რომ დანიშნულმა სასამართლოები ან ტრიბუნალები გაეცნონ ამ კრიტერიუმებს დაჩქარებული საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე.

31. საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის გადაუდებელი განხილვის შესახებ კონკრეტული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს მისი განხილვა დაჩქარებული პროცედურებით. ამის შესახებ ეცნობება მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს. მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს ევალება, რომ ეროვნული სამართალწარმოების მხარეებს შეატყობინოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ანალოგიურად, როდესაც სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნის დაჩქარებული განხილვის შესახებ მოთხოვნა არ არის გამართლებული, იგი აცნობებს მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც თავის მხრივ უნდა აცნობოს პროცესის მონაწილე მხარეებს.

## XII.

### სასამართლოს დასკვნის შესრულება

32. მოთხოვნის წარმდგენმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა აცნობოს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის შემდგომი განხორციელების შესახებ ეროვნულ საქმისწარმოებაში და მიაწოდოს მას საქმეზე მიღებულისაბოლოო გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების ასლი.

### წინამდებარე სახელმძღვანელოს მიმოხილვა

33. სასამართლო განაგრძობს წინამდებარე სახელმძღვანელოს მითითებების ფუნქციონირების პერიოდულ განხილვას.

---

<sup>1</sup> [www.echr.coe.int/Documents/Priority\\_policy\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Priority_policy_ENG.pdf)

## დანართი I

### ცვლილებები სასამართლოს რეგლამენტში მე-16 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლისას

#### მუხლი 1<sup>1</sup> - განმარტებები

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისთვის, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს:

(ა) ტერმინი „კონვენცია“ ნიშნავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და თანდართულ ოქებს;

(ბ) გამოთქმა „სასამართლოს პლენუმი“ ნიშნავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენარულ სესიას;

(გ) გამოთქმა „დიდი პალატა“ ნიშნავს კონვენციის 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად ჩვიდმეტი მოსამართლისგან შემდგარ დიდ პალატას;

(დ) ტერმინი „სექცია“ ნიშნავს სასამართლოს პლენუმის მიერ კონვენციის 25 (ბ) მუხლის შესაბამისად დროის განსაზღვრული პერიოდით დაადაარსებულ პალატას და გამოთქმა „სექციის თავმჯდომარე“ ნიშნავს მოსამართლეს რომელიც კონვენციის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არჩეულია სასამართლო პლენუმის მიერ, როგორც ამ სექციის თავმჯდომარე;

(ე) ტერმინი „პალატა“ ნიშნავს კონვენციის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად შვილი მოსამართლისგან შემდგარ ნებისმიერ პალატას და გამოთქმა „პალატის თავმჯდომარე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელიც თავმჯდომარეობს ამგვარ „პალატას“;

(ვ) ტერმინი „კომიტეტი“ ნიშნავს კონვენციის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად სამი მოსამართლისგან შემდგარ კომიტეტს და გამოთქმა „კომიტეტის თავმჯდომარე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელიც ხელმძღვანელობს ასეთ „კომიტეტს“;

(ზ) ტერმინი „ერთი მოსამართლის ფორმირება“ ნიშნავს ერთ მოსამართლეს, რომელიც ექცევა კონვენციის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად;

(თ) ტერმინი „სასამართლო“ ნიშნავს სასამართლოს პლენუმს, დიდ პალატას, სექციას, პალატას, კომიტეტს, ერთ მოსამართლეს ან ხუთი მოსამართლის კოლეგიას,

რომლებიც მითითებულია კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში და მე-16 ოქმის მე-2 მუხლში;

(ი) ტერმინი „*ad hoc* მოსამართლე“ გულისხმობს ნებისმიერ პირს რომელიც არჩეულია კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და სასამართლოს რეგლამენტის 29 მუხლის შესაბამისად იგი არჩეულია დიდი პალატის ან პალატის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით;

(კ) ტერმინები „მოსამართლე“ და „მოსამართლეები“ ნიშნავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეულ მოსამართლეს ან *ad hoc* მოსამართლეებს;

(ლ) ტერმინი „მომხსენებელი მოსამართლე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელსაც დაეკისრება წინამდებარე რეგლამენტის 49-ე და 49-ე მუხლებში გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;

(მ) ტერმინი „არა-მოსამართლე მომხსენებელი“ ნიშნავს სასამართლოს სამდივნოს წევრს, რომელსაც ევალება კონვენციის 24 § 2 მუხლის შესაბამისად ერთი მოსამართლის შემადგენლობით საქმის განხილვისას თანაშემწეობა;

(ნ) ტერმინი „დელეგატი“ ნიშნავს მოსამართლეს რომელიც პალატის მიერ გამწესებული იქნა დელეგაციაში და გამოთქმა „დელეგაციის ხელმძღვანელი გულისხმობს დელეგატს, რომელიც პალატის მიერ დანიშნული იქნა დელეგაციის ხელმძღვანელად;

(ო) ტერმინი „დელეგაცია“ ნიშნავს დელეგატებისგან, სამდივნოს წევრებისა და დელეგაციისათვის დახმარების გაწევის მიზნით პალატის მიერ დანიშნული ნებისმიერი პირისგან შემდგარ ორგანოს;

(პ) ტერმინი „გამწესრიგებელი“ აღნიშნავს სასამართლოს გამწესრიგებელს ან სექციის გამწესრიგებელს, კონტექსტის შესაბამისად;

(ჟ) ტერმინები „მხარე“ და „მხარეები“ ნიშნავს

- მომჩივანს ან მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეებს;
- მომჩივანი (პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან პირთა ჯგუფი), რომელმაც შეიტანა საჩივარი კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად;

(რ) გამოთქმა „მესამე მხარე“ ნიშნავს ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ან ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 36-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტებით და **მე-16 ოქმის მე-3 მუხლში**, რომელმაც გამოიყენა თავისი უფლება წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მიიღოს მონაწილეობა საქმის მოსმენაში ან მიწვეული იყო ამისათვის;

(ს) ტერმინები „მოსმენა“ და „მოსმენები“ ნიშნავს ზეპირ საქმისწარმოებას, რომელიც იმართება საქმის დასაშვებობასთან ან/და არსებით განხილვასთან დაკავშირებით ან გადახედვაზე, განმარტებასა თუ საკონსულტაციო დასკვნაზე მოთხოვნის საფუძველზე;

(ტ) ტერმინი „მინისტრთა კომიტეტი“ ნიშნავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს;

(უ) ტერმინები „ადრე მოქმედი სასამართლო“ და „კომისია“ ნიშნავს ევროპულ სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას, რომლებიც შექმნილია კონვენციის ადრე მოქმედი მე-19 მუხლით.

## მუხლი 24<sup>2</sup> – დიდი პალატის შემადგენლობა

1. დიდი პალატა უნდა შედგებოდეს ჩვიდმეტი მოსამართლისა და სულ ცოტა, სამი შემცველი მოსამართლისგან.

2. (ა) დიდი პალატა უნდა მოიცავდეს სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სექციათა თავმჯდომარეებს. სასამართლოს თავმჯდომარის ნებისმიერი მოადგილე ან სექციის თავმჯდომარე, რომელიც ვერ იღებს მონაწილეობას დიდი პალატის სხდომებში, უნდა ჩანაცვლდეს შესაბამისი სექციის თავმჯდომარის მოადგილის მიერ.

(ბ) დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებაში არჩეული მოსამართლე ან, საჭიროების შემთხვევაში, 29-ე ან 30-ე მუხლის მიხედვით დანიშნული მოსამართლე მონაწილეობას მიიღებს დიდი პალატის სხდომებში როგორც *ex officio* წევრი კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

(გ) კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად დიდი პალატისთვის გადაცემულ საქმეებში, დიდი პალატის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ იმ პალატის წევრები, რომელმა პალატამაც უარი განაცხადა იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ.



(დ) კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად დიდი პალატისთვის გადაცემულ საქმეებში, დიდი პალატის სხდომებში მონაწილეობას არ მიიღებს ის მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ხსენებულ საქმეზე პალატის გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნული არ ვრცელდება პალატის თავმჯდომარესა და შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოსთან მიმართებაში მონაწილე მოსამართლეზე, ან ნებისმიერ მოსამართლეზე რომელმაც მონაწილეობა მიიღო საჩივრის დასაშვებობის განმხილველი პალატის ან პალატების სხდომებში.

(ე) მოსამართლეები და შემცვლელი მოსამართლეები, რომლებმაც უნდა შეავსონ დიდი პალატა, უნდა დაინიშნონ დარჩენილი მოსამართლეებისგან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამწესებელის თანდასწრებით ჩატარებული კენჭისყრით. კენჭისყრის ჩატარების პირობები განსაზღვრული უნდა იქნეს სასამართლო პლენუმის მიერ, რომელიც სათანადო ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულად დაბალანსებულ შემადგენლობაზე, რაც ასახავს განსხვავებულ სამართებრივ სისტემებს ხელშემკვრელ მხარეთა შორის.

(ვ) კონვენციის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის განხილვისას, დიდი პალატა, ამავე მუხლის მე-2 (ა) და (ბ) პუნქტებში მითითებული მოსამართლეების გარდა, უნდა შეიცავდეს იმ პალატის ან კომიტეტის წევრებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია დიდი პალატის მიერ, დიდი პალატის შემადგენლობა უნდა იყოს ისეთი როგორც თავდაპირველი დიდი პალატა. ყველა შემთხვევაში, მათ შორის, იმ შემთხვევაში როდესაც შეუძლებელია თავდაპირველი დიდი პალატის აღდგენა, მოსამართლეები და შემცვლელი მოსამართლეები, რომლებმაც უნდა შეავსონ დიდი პალატა, უნდა დაინიშნოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის შესაბამისად.

(ზ) კონვენციის 47-ე მუხლის შესაბამისად საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის განხილვის დიდი პალატა შეიქმნება ამ წესის მე-2 პუნქტის (ა) და (ე) დებულებების შესაბამისად.

(თ) კონვენციის მე-16 ოქმის მიხედვით საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის განხილვისას დიდი პალატა შეიქმნება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ პუნქტის დებულებების შესაბამისად.

3. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია კოლეგიის სხდომებზე დასწრება, ისინი უნდა ჩანაცვლდნენ შემცვლელი მოსამართლეებით ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შერჩეული რიგითობით.

4. ზემოაღნიშნული დებულებების შესაბამისად დანიშნული მოსამართლეები და შემცვლელი მოსამართლეები განაგრძობენ სხდომას დიდ პალატაში საქმის განსახილველად საქმისწარმოების დასრულებამდე. უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგაც კი, ისინი განაგრძობენ საქმის განხილვას, თუ მონაწილეობა მიიღეს არსებითად განხილვაში. ეს დებულებები ასევე ვრცელდება საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებულ დებულებებთან.

5. (ა) დიდი პალატის ხუთი მოსამართლის კოლეგია, რომელმაც უნდა განიხილოს კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნის განხილვა, შედგება

- სასამართლოს თავმჯდომარისგან. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს თავმჯდომარე ვერ მონაწილეობს ხსენებულ კოლეგიაში, მას შეცვლის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
- როტაციით დანიშნული სექციების ორი თავმჯდომარისგან. თუ ამგვარად დანიშნული სექციების თავმჯდომარეებს არ შეუძლიათ სხდომაზე დასწრება, მათ ჩაანაცვლებენ თავიანთი სექციების ვიცე-თავმჯდომარეები;
- ორი მოსამართლისგან, რომლებიც დანიშნულნი არიან როტაციის წესით დანარჩენი სექციებიდან არჩეულ მოსამართლეთა შორის. ისინი კოლეგიაში ინიშნებიან ექვსი თვის ვადით;
- არანაკლებ ორი შემცვლელი მოსამართლისგან, რომლებიც დანიშნული არიან როტაციის გზით, სექციების მიერ არჩეული მოსამართლეთა კოლეგიაში ექვსი თვის ვადით;

ბ) განსახილველად გადაცემის მოთხოვნის განხილვისას კოლეგიაში არ უნდა შედიოდეს არც ერთი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოცემული საქმის დასაშვებობის ან არსებით განხილვაში.

გ) ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებით არჩეული, ან მისი მოქალაქე მოსამართლე რომელიც დაინტერესებულია ამ მოთხოვნით, არ შეიძლება იყოს კოლეგიის წევრი, ამ მოთხოვნის განხილვისას. 29-ე ან 30-ე წესების შესაბამისად არჩეული დანიშნული მოსამართლე ასევე გამოირიცხება ნებისმიერი ასეთი მოთხოვნის განხილვისგან.

დ) კოლეგიის ნებისმიერი წევრი, რომელსაც არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობა ბ) ან გ) ქვეპუნქტებში მითითებული მიზეზების გამო, ჩაანაცვლებს შემცვლელი

მოსამართლე, რომელიც დანიშნულია როტაციით სექციების მიერ არჩეულ მოსამართლეთა კოლეგიაში ექვსი თვის ვადით.

ე) კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად წარდგენილი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის განხილვისას, პალატა უნდა შედგებოდეს 93 წესის დებულებების შესაბამისად.

### მუხლი 29<sup>2</sup> ad hoc მოსამართლეები

1.(ა) თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე ვერ ახერხებს პალატაში ყოფნას, ჩამოცილდა საქმის განხილვას, ან გათავისუფლდა, ან თუ არც ერთი მოსამართლე არ იმყოფება, სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევს *ad hoc* მოსამართლეს, რომელიც 28-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. Ad hoc მოსამართლე აირჩევა იმ სიიდან, რომელსაც წინასწარ წარადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფო, და რომელშიც ასახულია 3-5 პირის მონაცემები, რომლებიც ხელშემკვრელმა სახელმწიფომ განსაზღვრა უფლებამოსილად განახორციელოს *ad hoc* მოსამართლის ფუნქციები 2 წლის ვადით, გახანგრძლივების პირობით, რაც აკმაყოფილებს ამ მუხლის 1-ელი პარაგრაფის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

სიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ორივე სქესი და თან უნდა ახლდეს მათი ბიოგრაფიული მონაცემები. სიაში მითითებული პირები არ წარმოადგენენ მხარეს ან მესამე მხარეს სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების დროს.

(ბ) ამ მუხლის პირველი პარაგრაფის (ა) ნაწილში მოცემული პროცედურა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული პირს არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება ან ჩამოცილდა საქმის განხილვას.

(გ) *ad hoc* მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კონვენციის 21 § 1 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული კვალიფიკაცია და ჰქონდეს პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ამ მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად. უფლებამოსილების განხორციელების მანძილზე, სასამართლოში სამართალწარმოების დროს, *ad hoc* მოსამართლე არ წარმოადგენს მხარეს.

2. სასამართლოს თავმჯდომარე დანიშნავს სხვა არჩეულ მოსამართლეს, იმისათვის რომ განახორციელოს *ad hoc* მოსამართლის უფლებამოსილებები მაშინ როდესაც:

---

<sup>2</sup> სასამართლომ შეიტანა ცვლილებები 2002 წლის 17 ივნისს და 8 ივლისს, 2006 წლის 13 ნოემბერს, 2010 წლის 29 მარტს, 2013 წლის 6 მაისს და **2016 წლის 19 სექტემბერს**.

(ა) წარდგენილია საჩივარი 54 § 2 (ბ) ნაწილის შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოს კი სამდივნოსთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ამ მუხლის 1-ელი პარაგრაფის (ა) ნაწილით განსაზღვრული სიის შესაბამისად.

(ბ) თუ სასამართლოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ სიაში მითითებულ პირთაგან სამზე ნაკლები აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პარაგრაფის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სასამართლოს თავმჯდომარემ შესაძლებელია გადაწყვიტოს არ დანიშნოს *ad hoc* მოსამართლე ამ მუხლის 1 (ა) ან მე-2 პარაგრაფის შესაბამისად მანამ, სანამ საჩივრის შესახებ არ ეცნობება ხელშემკვრელ სახელმწიფოს 54 § 2 (ბ) მუხლის შესაბამისად. სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების მიღებამდე, პირველი სათადარიგო მოსამართლე განახორციელებს უფლებამოსილებას.

4. *Ad hoc* მოსამართლემ, მას შემდეგ რაც დაინიშნება მოსამართლე და პირველად დაიწყება საქმის განხილვა, უნდა დადოს ფიცი ან მე-3 მუხლის შესაბამისად, გააკეთოს განცხადება. ეს პროცესი ოქმში აისახება.

5. *Ad hoc* მოსამართლეები ვალდებული არიან იყვნენ ხელმისაწვდომები სასამართლოსთვის და 26 § 2 მუხლის შესაბამისად დაესწრონ პალატის შეხვედრებს.

6. ამ მუხლის დებულებები *mutatis mutandis გამოიყენება დიდი პალატის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების დროს, როდესაც განაცხადი წარდგენილია საკონსულტაციო დასკვნის მიღების მიზნით კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის შესაბამისად. ამასთან, როდესაც სამართალწარმოება საქმის განხილვის მიზნით მიმდინარეობს დიდი პალატის წინაშე.*

#### მუხლი 34<sup>3</sup> - ენები

1. სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული.
2. კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრების შესაბამისად, თუ არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ ეცნობა წარდგენილი საჩივრის შესახებ ამ მუხლების შესაბამისად. მხარეების ან მათი წარმომადგენლების მიერ ზეპირი ან წერილობითი მოსაზრებები თუ არ არის შედგენილი სასამართლოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე, შეიძლება მომზადდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეცნობა, ან მიეწოდა ოფიციალური შეტყობინება ამ წესების შესაბამისად,

<sup>3</sup> დაექვემდებარა ცვლილებებს სასამართლოს მიერ 2004 წლის 13 დეკემბერს და 2016 წლის 19 სექტემბერს.

საჩივარი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნება იმ სახელმწიფო ენაზე, რომელ ენაზეც იქნა სამდივნოში წარდგენილი მომჩივნის მიერ.

3. (ა) მომჩივნების ან მათი წარმომადგენლების ყველა კომუნიკაცია, ზეპირსიტყვიერ და წერილობით მოსაზრებებთან ერთად, ან ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის საჩივარის შესახებ შეტყობინება უნდა იყოს სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, თუ პალატის თავმჯდომარე არ გასცემს ნებართვას ხელშემკვრელი სახელმწიფოს ენის მუდმივად გამოყენების შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში, სამდივნოს წარმომადგენელი მიიღებს აუცილებელ ზომებს მომჩივნის ზეპირი და წერილობითი მოსაზრებების მთლიანად ან ნაწილობრივ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით, თუ პალატის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული გამომდინარეობს საქმისწარმოების სწორად წარმართვის ინტერესებიდან.

(გ) პალატის თავმჯდომარეს საგამონაკლისო წესით შეუძლია გასცეს ამგვარი ნებართვა, იმ პირობით თუ მომჩივანი ამგვარი ღონისძიების გატარებისთვის გასწევს ყველა შესაბამის ხარჯს.

(დ) მანამ, სანამ პალატის თავმჯდომარე მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას, ამ პარაგრაფის წინა პუნქტით განსაზღვრული დებულების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება იქნება მოქმედი საქმესთან დაკავშირებულ ყველა შემდგომი სამართალწარმოების ეტაპზე, მათ შორის საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის შემთხვევაში და გადაწყვეტილების გადასინჯვის ან მისი განმარტების მოთხოვნების დროს, 73-ე, 79-ე და მე-80 მუხლების შესაბამისად.

4. (ა) საქმის მონაწილე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ყველა კომუნიკაცია, ზეპირ და წერილობით მოსაზრებებთან ერთად უნდა იყოს სასამართლოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე. პალატის თავმჯდომარემ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შესაძლებელია დართოს ნება წერილობითი და ზეპირსიტყვიერი მოსაზრებების წარდგენის დროს გამოიყენოს ერთ-ერთი ოფიციალური ენა.

(ბ) თუ სასამართლო გასცემს ამგვარ ნებართვას, სახელმწიფო პასუხისმეგებელი იქნება

- (i) მოამზადოს წერილობითი მოსაზრების თარგმანი სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე თარგმანს არ წარადგენს ამ ვადაში, სამდივნოს წარმომადგენელს შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები თარგმანის უზრუნველსაყოფად. ხარჯების გაწევა მხარეს დაეკისრება;
  - (ii) გასწიოს ხარჯი ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე წარდგენილი ზეპირსიტყვიერი მოსაზრებების თარგმნისთვის. სამდივნოს წარმომადგენელი პასუხისმგებელია ამგვარი ღონისძიებების განხორციელებაზე.
- (გ) პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მიუთითოს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ამასთანავე არის მხარე, განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს თარგმანი ან მოკლე მიმოხილვა ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე მის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებების გარკვეული ან სრული დანართების ან ნებისმიერი რელევანტური დოკუმენტის ან ამონარიდის.
- (დ) ამ პარაგრაფის წინა პარაგრაფები გამოიყენება *mutatis mutandis* მესამე მხარის ჩართვის დროს 44-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, მესამე მხარის მიერ არაოფიციალური ენის გამოყენების დროს.
5. პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მოპასუხე ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოთხოვოს წერილობითი მოსაზრებების თარგმნა თავის ოფიციალურ ენაზე იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მხარის მიერ ამ მოსაზრებების შინაარსის გაგებას.
  6. ნებისმიერ მოწმეს, ექსპერტს ან სხვა პიროვნებას, რომელიც წარდგება სასამართლოს წინაშე შეუძლია გამოიყენოს თავისი ენა თუ მას არ ესმის ოფიციალურ ენათაგან არც ერთი. ასეთ შემთხვევაში, სამდივნოს წარმომადგენელი განახორციელებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას თარგმნის უზრუნველსაყოფად.
  7. კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე წარდგენილი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნასთან მიმართებით, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს 92-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია მოთხოვნა წარადგინოს ეროვნულ სამართალწარმოებაში გამოყენებულ ოფიციალურ ენაზე. თუ გამოყენებული ენა არ არის სასამართლოს ოფიციალური ენა, მოთხოვნის ინგლისური ან ფრანგული თარგმანი უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

## მუხლი 44<sup>4</sup> - მესამე მხარის ჩართვა

1. (ა) როდესაც კონვენციის 33-ე ან 34-ე მუხლების შესაბამისად, საჩივარი გადაეცემა მოპასუხე ხელშემკვრელ სახელმწიფოს, 51 § 1 or 54 § 2 (ბ) მუხლების საფუძველზე, იმავდროულად წარდგენილი საჩივრის ასლი სამდივნოს წარმომადგენლის მიერ გადაეცემა ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის მომჩივანი. სამდივნოს წარმომადგენელი ხელშემკვრელ სახელმწიფოს აცნობებს საქმეზე ზეპირი განხილვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას.

(ბ) თუ ხელშემკვრელ მხარეს სურს ისარგებლოს კონვენციის 36-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით და წარადგინოს წერილობითი პოზიცია ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამის შესახებ მან წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს სამდივნოს წინა პარაგრაფების შესაბამისად, არაუგვიანეს თორმეტი კვირისა მას შემდეგ რაც ეცნობება ან გადაეგზავნება საჩივარი. საგამონაკლისო გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დააწესოს განსხვავებული ვადა.

2. თუ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს სურს ისარგებლოს კონვენციის 36 § 3 მუხლით გათვალისწინებული უფლებით, იმისათვის, რომ წარადგინოს წერილობითი მოსაზრება ან მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, ამის შესახებ მან წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს სამდივნოს, არაუგვიანეს თორმეტი კვირისა მას შემდეგ რაც საჩივარი გადაეგზავნება მოპასუხე ხელშემკვრელ სახელმწიფოს ან ეცნობება საქმის ზეპირი განხილვის თაობაზე. საგამონაკლისო გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს განსხვავებული ვადა.

თუ პირადად ადამიანის უფლებათა კომისარი ვერ ახერხებს მონაწილეობის მიღებას სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებაში, მან უნდა დაასახელოს იმ პირის ან პირთა ვინაობა თავისი სამუშაო ადგილიდან, რომლებიც მან დანიშნა თავის წარმომადგენლად. შესაძლებელია დახმარება ადვოკატმა გაუწიოს.

---

<sup>4</sup> სასამართლომ ცვლილებები შეიტანა 2003 წლის 7 ივლისს, 2006 წლის 13 ნოემბერს და 2016 წლის 19 სექტემბერს.

3. (ა) მას შემდეგ, რაც საჩივრის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს 51 § 1 ან 54 § 2 (ბ) მუხლების შესაბამისად, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, კონვენციის 36 § 2 მუხლის შესაბამისად, მოიწვიოს ან მისცეს შესაძლებლობა ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე, ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მომჩივანი, წარადგინოს წერილობითი მოსაზრება ან, გამონაკლის შემთხვევებში, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში.

(ბ) პროცესში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია 34 § 4 მუხლში, არაუგვიანეს თორმეტი კვირისა მას შემდეგ, რაც საჩივრის შესახებ ეცნობება მოპასუხე ხელშემკვრელ სახელმწიფოს. საგამონაკლისო გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დააწესოს განსხვავებული ვადა.

4. (ა) დიდი პალატის მიერ განსახილველ საქმეებში, წინა პარაგრაფებში განსაზღვრული ვადები გაგრძელდება როდესაც მხარეებს ეცნობებათ იურისდიქციის დიდი პალატის სასარგებლოდ დათმობის შესახებ პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე 72 § 1 მუხლის შესაბამისად, ან როდესაც დიდი პალატის შემადგენლობა დაეთანხმება მხარის მოთხოვნას საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის შესახებ 73 § 2 მუხლის შესაბამისად.

(ბ) ამ მუხლით განსაზღვრული ვადები გამონაკლისი წესით, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს, შეიძლება გახანგრძლივდეს პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ პუნქტში მითითებული ნებისმიერი მოწვევა ან ნებართვა, მათ შორის, ვადები ექვემდებარება პალატის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ პირობებს, თუ ასეთი პირობები არ იქნება დაცული, თავმჯდომარეს შეუძლია გადაწყვიტოს არ ასახოს მოსაზრებები საქმის მასალებში ან შეზღუდოს საქმის განხილვაში მონაწილეობა იმდენად, რამდენადაც იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

6. ამ მუხლის შესაბამისად, წარდგენილი წერილობითი მოსაზრებები შედგენილი უნდა იყოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, 34 § 4 მუხლის შესაბამისად. წერილობით მოსაზრებებს სამდივნო უგზავნის საქმის მონაწილე მხარეებს, რომლებიც უფლებამოსილები არიან პალატის თავმჯდომარის მიერ დაწესებული ვადების



შესაბამისად, წარადგინონ საპასუხო წერილობითი მოსაზრებები ან რამდენადაც მიზანშეწონილია საქმის განხილვის დროს დააფიქსირონ საპასუხო პოზიცია.

- ამ მუხლის დებულებები ვრცელდება *mutatis mutandis* დიდი პალატის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებაზე, რომელიც კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად გასცემს საკონსულტაციო დასკვნას. სასამართლოს თავმჯდომარე აწესებს ვადებს, რომლებიც ვრცელდება საქმეში ჩართულ მესამე მხარეებზე.

#### თავი IX - კონვენციის 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების შესაბამისად მიღებული საკონსულტაციო დასკვნები<sup>5</sup>

##### მუხლი 82<sup>6</sup>

მინისტრთა კომიტეტის მიერ მოთხოვნილ საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, კონვენციის 47-ე, 48-ე და 49-ე დებულებებთან ერთად, გამოიყენებს შემდეგ დებულებებს. სასამართლო ასევე გამოიყენებს ამ მუხლების სხვა ნაწილებს, რამდენადაც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

#### თავი X - კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის საფუძველზე მიღებული საკონსულტაციო დასკვნები<sup>7</sup>

##### მუხლი 91 ზოგადი წესები

კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის მე-10 მუხლის შესაბამისად, სასამართლოების ან ტრიბუნალების მიერ მოთხოვნილ საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებით, სასამართლო დამატებითი ოქმით განსაზღვრულ დებულებებთან ერთად, იხელმძღვანელებს შემდეგი დებულებებით. ამასთან, გამოიყენებს ამ მუხლების სხვა დებულებებს, იმდენად რამდენადაც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

##### მუხლი 92 საკონსულტაციო დასკვნის მიღება

- კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოსგან საკონსულტაციო დასკვნის მიღება, როდესაც აქვს შეკითხვა კონვენციის და მისი

<sup>5</sup> დაემატა სასამართლოს მიერ 2016 წლის 19 სექტემბერს.

<sup>6</sup> სასამართლომ ცვლილებები შეიტანა 2016 წლის 19 სექტემბერს.

<sup>7</sup> დაემატა სასამართლოს მიერ 2016 წლის 19 სექტემბერს.

დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტების და გამოყენების შესახებ. ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს სასამართლოს სამდივნოში.

## 2.1 მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა ასახავდეს

(ა) შიდასახელმწიფოებრივი საქმის დავის საგანს, სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს;

(ბ) შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო დებულებებს;

(გ) კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, უფლებებსა და თავისუფლებების სავარაუდო დარღვევას;

(დ) რამდენადაც შესაძლებელია, საკითხთან დაკავშირებით, ეროვნული სამართალწარმოების დროს მხარეების მიერ გაკეთებული სამართლებრივი არგუმენტების შეჯამება; და

(ე) რამდენადაც შესაძლებელია და მიზანშეწონილია, საკითხთან დაკავშირებით თხოვნის წარმდგენი სასამართლოს ან ტრიბუნალის მოსაზრება, მათ შორის, ნებისმიერი დასკვნა რომელიც შესაძლოა თავად გაეკეთებინა საკითხთან დაკავშირებით.

2.2 მოთხოვნის გამგზავნმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა წარადგინოს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტაცია განსახილველი საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან დაკავშირებით.

2.3 მომთხოვნი სასამართლო ან ტრიბუნალი ვალდებულია სასამართლოს აცნობოს მოთხოვნის გამოხმობის შესახებ. შეტყობინების მიღებისთანავე სასამართლო შეწყვეტს სამართალწარმოებას.

## მუხლი 93 - მოთხოვნის განხილვა კოლეგიის მიერ

1.1 საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას განიხილავს დიდი პალატის ხუთ მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. კოლეგია შედგება:

(ა) სასამართლოს თავმჯდომარისგან. თუ სასამართლოს თავმჯდომარე ვერ ახერხებს სხდომაში მონაწილეობის მიღებას, მას ანაცვლებს სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარე;

(ბ) როტაციით დანიშნული სექციების ორი თავმჯდომარისგან. თუ ამგვარად დანიშნული სექციების თავმჯდომარეები ვერ ახერხებენ სხდომაში მონაწილეობის მიღებას, მათ ანაცვლებენ მათივე სექციების ვიცე-თავმჯდომარეები;

(გ) მოსამართლე, რომელიც დარჩენილი სექციების მოსამართლეებს შორის როტაციის საფუძველზე დანიშნულია ექსვი თვის ვადით;

(დ) ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე, სადაც მდებარეობს მომთხოვნი სასამართლო ან ტრიბუნალი ან საჭიროების შემთხვევაში, 29-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული მოსამართლე; და

(ე) მინიმუმ ორი შემცვლელი მოსამართლე, რომლებიც დანიშნულები არიან 6 თვის ვადით როტაციის წესით სექციების მიერ არჩეულ მოსამართლეთა კოლეგიაში უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით.

1.2 კოლეგიაში მომუშავე მოსამართლეები აგრძელებენ უფლებამოსილების განხორციელებას იქ, სადაც მონაწილეობა მიიღეს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის განხილვის დროს, თუ არ ყოფილა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მათი კოლეგიაში დანიშვნის ვადის გასვლის თარიღისთვის.

2. მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით განიხილება პრიორიტეტულად 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. დიდი პალატის კოლეგია მოთხოვნას მიიღებს თუ მიიჩნევს, რომ ის აკმაყოფილებს კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მოთხოვნებს.

4. კოლეგიამ უნდა დაასაბუთოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს, ეცნობება მოთხოვნის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 94 - საქმისწარმოება კოლეგიის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში

1. 93-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც კოლეგია მიიღებს მოთხოვნას საკონსულტაციო დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით, დიდი პალატა შეიქმნება 24 § 2 (თ) პუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რომ განიხილოს მოთხოვნა და გასცეს საკონსულტაციო დასკვნა.

2. დიდი პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მიუთითოს მომთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს წარადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად მიიჩნევა მოთხოვნის ფარგლების ან მოთხოვნის შედეგად წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების დაზუსტების მიზნით.
3. დიდი პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ეროვნულ სამართალწარმოებაში ჩართული მხარეები იმისათვის, რომ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ საქმის ზეპირ განხილვაში.
4. წერილობითი მოსაზრებები ან სხვა დოკუმენტაცია წარედგინება სამდივნოს დიდი პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილი ვადების შესაბამისად.
5. 44-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი ნებისმიერი წერილობითი მოსაზრებების ასლები გადაეცემა მოთხოვნის გამგზავნ სასამართლოს ან ტრიბუნალს, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, კომენტარი გააკეთოს ამ მოსაზრებებზე.
6. წერილობითი საქმისწარმოება დამთავრების შემდეგ, დიდი პალატის თავმჯდომარე გადაწყვეტს უნდა ჩატარდეს თუ არა ზეპირი განხილვა.
7. საკონსულტაციო დასკვნები მიიღება დიდი პალატის ხმების უმრავლესობით. მათ უნდა მიუთითონ უმრავლესობაში მყოფ მოსამართლეთა რაოდენობა.
8. ნებისმიერ მოსამართლეს, თუ მას ამის სურვილი აქვს, შეუძლია სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას თან დაურთოს განსხვავებული მოსაზრება, რომლითაც ეთანხმება ან არ ეთანხმება საკონსულტაციო აზრს, ან მხოლოდ განცხადება განსხვავებული აზრის შესახებ.
9. საკონსულტაციო დასკვნას ხელს აწერენ დიდი პალატის თავმჯდომარე და სამდივნოს წარმომადგენელი. დოკუმენტის ორიგინალი, სათანადოდ ხელმოწერილი, განთავსდება სასამართლოს არქივში. სამდივნოს წარმომადგენელი უგზავნის დამოწმებულ ასლებს მოთხოვნის გამგზავნ სასამართლოს ან ტრიბუნალს. ამასთან, იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს სადაც მდებარეობს ეს სასამართლო ან ტრიბუნალი.

10. ნებისმიერი მესამე მხარე, რომელიც კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად ჩაერთო სამართალწარმოებაში, სასამართლოს რეგლამენტის 44-ე მუხლის შესაბამისად, მიიღებს საკონსულტაციო დასკვნის ასლს.

მუხლი 95 საკონსულტაციო დასკვნის სამართალწარმოების ხარჯები და იურიდიული დახმარება

1. თუ დიდი პალატის თამჯდომარემ ეროვნულ სამართალწარმოებაში ჩართული მხარე მიიწვია იმ მიზნით, რომ ჩართოს საკონსულტაციო დასკვნის მომზადების სამართალწარმოებაში 44 § 7 მუხლის და 94 § 3 მუხლების შესაბამისად, ამ მხარის ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებას არ განსაზღვრავს სასამართლო. აღნიშნული უნდა დადგინდეს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისად, სადაც მდებარეობს მოთხოვნის გამგზავნი სასამართლო ან ტრიბუნალი.

2. XII თავში ასახული დებულებები გამოიყენება *mutatis mutandis*, როდესაც დიდი პალატის თავმჯდომარე ამ თავის 44 § 7 და 94 § 3 მუხლების შესაბამისად მოიწვევს ეროვნულ სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეს, საკონსულტაციო დასკვნის სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღების მიზნით და როდესაც მხარეს არ გააჩნია საკმარისი სახსრები მთლიანი ან ნაწილობრივი ხარჯების დასაფარად.